თანამედროვე ეკონომიკური დიპლომატია და მისი როლი ქვეყნის საგარეო ურთიერთობების განვითარებაში

(საქართველოს მაგალითზე)

გრიგოლ გლუნჩაძე
სტუ-ს დოქტორანტი

რეზიუმე

თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში მსოფლიოს ქვეყნები სულ უფრო მეტად უკავშირდება ერთმანეთს სხვადასხვა მიმართულებებით. ნებისმიერი კავშირი და ურთიერთობა მნიშვნელოვანია ქვეყნებისათვის, მაგრამ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ეკონომიკური კავშირები, მით უმეტეს, რომ გლობალიზაციის პირობებში ეკონომიკისა და პოლიტიკის ურთიერთკავშირი გადამწყვეტ როლს თამაშობს ნებისმიერი საზოგადოების განვითარების საქმეში.

საერთაშორისო ურთიერთობების მნიშვნელოვან ელემენტად წარმოსდგება ეკონომიკური დიპლომატია, რადგან ეკონომიკამ შეიძინა ცენტრალური როლი დიპლომატიურ ურთიერთობებში. საზღვარი ტრადიციულ დიპლომატიასა და ეკონომიკურ დიპლომატიას შორის სულ უფრო მეტად უახლოვდება ერთმანეთს, ანუ მცნება "ეკონომიკური დიპლომატია" სულ უფრო მეტად ინერგება კლასიკური დიპლომატიის სფეროში.

თანაედროვე ეტაპზე, საქართველოში შეინიშნება ეკონომიკური დიპლომატიის ინსტიტუციური და ორგანიზაციული ბაზების გაძლიერება და სტატუსის გაზრდა სახელმწიფო ხელისუფლების სისტემაში.

სტატიაში მოცემულია თანამედროვე ეკონო-მიკური დიპლომატიის განმარტება, არსი, მიზნები და ამოცანები. განსაკუთრებით ხაზგასმულია, მისი როლი და მნიშვნელობა ეკონომიკური გლობალიზაციისა და ინტეგრაციის პროცესებში ქვეყნების ინტერესებიდან გამომდინარე, აგრეთვე, დახასიათებულია საქართველოს ადგილი ამ პროცესში და გაანალიზებულია მსოფლიო მეურნეობაში საქართველოს ეკონომიკის ინტეგრირების არსებული მდგომარეობა.

საკვანძო სიტყვები: დიპლომატია, საგარეო ეკონომიკური ურთიერთობები, გლობალიზაცია, ეკონომიკური დიპლომატია, საერთაშორისო - საგარეო ეკონომიკური ურთიერთობები.

ძირითადი ნაწილი

თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში კლასიკურ დიპლომატიასთან ერთად, რომელიც დიდ როლს თამაშობს ქვეყნებს შორის საერთაშორისო ურთიერთობების დამყარებასა და განვითარებაში, მნიშვნელოვან ადგილი უჭირავს ახლებური ფორმის ეკონომიკურ დიპლომატიას, რომელსაც კომპლექსური ხასიათი გააჩნია და მოიცავს ისეთი მნიშვნელოვანი ეკონომიკური საკითხების გადაწყვეტას როგორიცაა: ბიზნესი, ვაჭრობა, ფინანსები, ტრანსპორტი, სამუშაო ძალის მიგრაცია, ენერგეტიკა, საინფორმაციო ტექნოლოგიები და სხვა [1, 4, 8, 11]. სოციალურ - ეკონომიკური ცხოვრების სიღრმისეულმა ცვლილებებმა და განვითარების სწრაფმა ტემპებმა მოითხოვა საგარეო-ეკონომიკური ერთიერთობების თეორიული საკითხების ახლებურად გააზრება და მეცნიერულად დასაბუთებული, პრაქტიკასთან თავსებადი პრინციპების ჩამოყალიბების აუცილებლობა.

მრავალი ავტორი თვლის, რომ დიპლომატიის როლის საწყისი მეცნიერული ანალიზი ხორციელდება, უმეტესად, საელჩოებში. სხვები თვლიან, რომ სამეცნიერო ხასიათის დიპლომატია პირველ რიგში, სათავეს იღებს საგარეო საქმეთა სამინისტროებში, რომელიც ითვლება დიპლომატიის ე.წ „ტვინის ცენტრად", სადაც უფრო მეტი შესაძლებლობა არის გააკეთონ სამეცნიერო ანალიზი და წყაროები გაცილებით მრავალფეროვანია, ვიდრე რომელიმე

(უცხოურ) ერთ ქვეყანაში [9,10]. ზოგიერთი ავტორის აზრით კი დიპლომატიის მთავარი პრინციპი ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის განვითარება დამოკიდებულია საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების განვითარებაზე და ამ მიზნით მრავალი ორგანიზაციის (საელჩოების, საგარეო საქმეთა სამინისტორსა თუ სხვა უწყებების) ერთობლივად პროცესში ჩართულობაზე.

განსაკუთრებით აქტუალურია ეკონომიკური დიპლომატიის როლი საქართველოსათვის, რადგან საუკუნის სამი მეოთხედის მანძილზე, ჩვენი ქვეყნის ეკომომიკა დამოუკიდებელი საგარეო ურთიერთობებიდან ჩამოცილებულად ვითარდებოდა [3,5,7] და დღემდე არაა დასრულებული, საგარეო ეკონომიკის განვითარების საქმეში, ფუნქციების გადანაწილებისა და ჩემოყალიბების პროცესები როგორც საგარეო საქმეთა სამინისტროში, ასევე სალეჩობეში.

საქართველოში საგარეო ვაჭრობის განვითარება და საქონელბრუნვის ზრდა,რომელიც დღეს-დღეობით დიდად არის დამოკიდებული დიპლომატიურ მისიებზე, ეკონომიკური პოლიტიკის განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ქვეყნის სავალუტო შემოსავლების შევსება, ხელი შეუწყოს ადგილობრივი წარმოების გაფართოებას და შესაბამისად მოსახლეობის დასაქმების ზრდას, მოახდინოს აუცილებელ იმპორტზე შიდა ბაზრის მოთხოვნილების დაკმაყოფილება, შექმნას ჯანსაღი კონკურენტული გარემოს ფორმირება და ეკონომიკის სტრუქტურული სრულყოფა, აგრეთვე, დააჩქაროს მსოფლიო ეკონომიკურ სისტემაში ქვეყნის სრულფასოვანი ინტეგრირების პროცესი[2,6,12]

ზემოთთქმულიდან გამომდინარე, ეკონომიკური დიპლომატიის როლის შესწავლა გლობალიზაციის პირობებში ერთ-ერთი მეტად აქტუალური მიმართულებაა საქართველოში მიმდინარე საგარეო-ეკონომიკური პროცესების ადეკვატურობის შესაფასებლად.

სტატიაში გამოყენებული გვაქვს მონაცემები: საქართველოს ბიზნესის ასოციაციის - საქართველოს გრძელვადიანი განვითარების კონცეფცია (2013), ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მონაცემები (2015-2019), ასევე ნაშრომები: ვ.ი პოპოვის -„თანამედროვე დიპლომატია“, ა. ჩაჩხიანის -„საქართველოს საგარეო სავაჭრო პოტენციალის ზეგავლენა ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაზე, თ. ქოქოლაძის - „ქართული თანამედროვე დიპლომატია“, ზ. კოზმავას - „ეკონომიკური დიპლომატია საერთაშორისო ბიზნესის განვითარებაში“, გ. ჯოლია „საერთაშორისო ეკონომიკური უერთიერთობები“ და სხვა.

დიპლომატიას განვითარების დიდიხნის ისტორია გააჩნია, ის ჯერ კიდევ შორეულ წარსულში იყო, ერთ-ერთი ყველაზე საუკეთესო საშუალება, რასაც მიმართავდნენ სახელმწიფოთა შორის საომარი მოქმედებიბის თავიდან ასაცილებლად და შემდგომში, ქვეყნებისთვის უმნიშვნელოვანესი ეკომომიკური ურთიერთობების დასამყარებლად. ჟიულ კამბონი და გაროლდ ნიკოლსონი (XX საუკუნის პირველი ნახევრის ევროპელი დიპლომატები), პირველ ადგილზე აყენებდნენ დიპლომატიას, როგორც დიპლომატიური მოქნილობით ნდობის მოპოვების გონივრულ ხელოვნებას და ადარებდნენ ბიზნესს, რომელიც ეფუძნება პატიოსნებას.

თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში. მსოფლიო სულ უფრო მეტად უკავშირდება ერთმანეთს არა მხოლოდ გეოგრაფიულად, არამედ მრავალი, სხვადასხვა მიმართულებით. ნებისმიერი კავშირი და ურთიერთობა მნიშვნელოვანია ქვეყნებისათვის, მაგრამ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ეკონომიკური კავშირები, მით უმეტეს, რომ გლობალიზაციის პირობებში ეკონომიკისა და პოლიტიკის ურთიერთკავშირი გადამწყვეტ როლს თამაშობს ნებისმიერი საზოგადოების განვითარებაში, რაც განსაკუთრებით მნიშვნელობას იძენს გარდამავალ პერიოდში, რადგან ამ დროს ვერანაირი ეკონომიკური განვითარების გეგმა ვერ იმუშავებს სათანადო პოლიტიკური უზრუნველყოფის გარეშე.

თანამედროვე ეკონომიკური დიპლომატიის ამოცანებია: ურთიერთსასარგებლო ეკონომიკური თანამშრომლობის გაფართოება, ეროვნული რესურსების გამოყენება ან სავაჭრო პარტნიორების ხარჯზე სარგებლის მიღება, ქვეყნის საერთაშორისო კონკურენციის გაძლიერება, გლობალურ ბაზარზე სარგებელისა და კონკურენტული უპირატესობების მოპოვება, ნაციონალური ინტერესების უზრუნველყოფა სწრაფად განვითარებად გლობალიზებულ სამყაროში, აგრეთვე, საგარეო ეკონომიკური უს-

აფრთხების უზრუნველყოფა, საერთაშორისო ეკონომიკური თანამშრომლობისთვის ქვეყნაში სათანადო პირობების უზრუნველყოფა, საბოლოო ჯამში კი მისი მოსახლეობის ცხოვრების დონის და ხარისხის ამაღლება.

მსოფლიო ეკონომიკაში განხორციელებულმა ცვლილებებმა მეოცე საუკუნეში მიაღწია სიმწიფის ხარისხს და ამ პროცესს გლობალიზაცია ეწოდა. ამ ცვლილებების მნიშვნელობა განსაკუთრებით დიდია თანამედროვე მსოფლიო განვითარების ტენდენციების ფონზე. გლობალიზაციის პროცესი განვითარების სწრაფი ტემპის გამო, გარკვეულ სირთულეს უქმნის მთელ საერთაშორისო საზოგადოებას, ვინაიდან, სულ უფრო ახალ ხარისხს იძენს და თანდათან მოიცავს ადამიანის საზოგადოებრივი ცხოვრების, უფრო მეტ ასპექტებს.

თანამედროვე გლობალურ ეკონომიკურ დიპლომატიას წინ უძღოდა სავაჭრო დიპლომატიის პერიოდი, ამ პერიოდის განმავლობაში ეკონომიკასთან დიპლომატიის კავშირმა შეიძინა უნივერსალური ფენომენის თვისებები. ხოლო, ვაჭრობისა და ეკონომიკური ინტერესების პოლიტიკურად დახვეწილი დიპლომატიური მხარდაჭერა კი საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობების წესად იქცა.

გლობალიზაციის პირობებში ეკონომიკამ შეიძინა დიპლომატიური ურთიერთობების ცენტრალური ხასიათი და დღესდღეობით ეკონომიკური დიპლომატია სულ უფრო მეტად ინერგება კლასიკური დიპლომატიის სფეროში. უნდა აღინიშნოს, რომ ეკონომიკური დიპლომატია გარდაიქმნა დისციპლინად, რომელიც აერთიანებს პოლიტიკურ და ეკონომიკურ სფეროებში საერთაშორისო ურთიერთქმედებების დინამიკას.

ეკონომიკური დიპლომატიის განვითარება რთული ფენომენია, მან უნდა გაითვალისწინოს პოლიტიკური და ეკონომიკური რისკების არსებობაც. ქვეყნები სიფრთხილით უნდა მოეკიდონ საერთაშორისო არენაზე დიპლომატიური მეთოდების გამოყენებას და უნდა მოახდინონ მაქსიმალურად ეფექტური ტრანსფორმაცია, არესებული გეგმის უსაფრთხოებისა და მდგრადი ეკონომიკური განვითარების დაცვასა და უზრუნველყოფისთვის.

არსებობს ეკონომიკური დიპლომატიის აღქმის რამოდენიმე ვარიანტი: ეკონომიკური დიპლომატია, როგორც მხოლოდ ეროვნული ბიზნესის სავაჭრო და ეკონომიკური ინტერესების განვითარების მექანიზმი, მეორე, ეკონომიკური დიპლომატია, როგორც კიდევ ერთი შესაძლებლობა მოლაპარაკებებით განხორციელდეს საერთაშორისო ეკონომიკური ცვლილებები, მესამე, ეკონომიკური დიპლომატია განიხილება, როგორც მექანიზმი ბაზრებისა და გავლენის სფეროების გადანაწილება მათთვის ხელსაყრელი ფორმატში. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველო ვითარდება ზემოთ აღნიშნული მეორე ვარიანტის მიხედვით, რაც გულისხმობს მოლაპარაკებების გზით საერთაშორისო ეკომომიკური ცვლილებების განხორციელებას.

უცხოური ინვესტიციების მოზიდვა დიპლომატიის მნიშვნელოვანი ამოცანაა, რომლის განხორციელების ძირითადი საშუალება ექსპორტ-იმორტიორების შეხვედრებისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნაა, რათა მოხდეს პრეორიტეტების იდენტიფიცირება და მკაფიოდ ჩამოყალიბება. აუცილებელია ხაზგასმით ავღნიშნოთ სახელმწიფო საექსპორტო სტრატეგია, რომელიც განსაზღვრავს საქონლის ექსპორტის მთავარ მიმართულებებს, რაც დიპლომატიურ მისიებში სავაჭრო-ეკონომიკური მიმართულების ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა.

ნებისმიერი სახელმწიფოს დიპლომატიური წარმომადგენლობა, როცა ის განიხილება, როგორც სანდო პარტნიორი ქვეყნის წარმომადგენელი, საკუთარ ქვეყანას დახმარებას უწევს საგარეო ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებაში, აწყობს მოლაპარაკებებს, კონგრესებს, სემინარებს, გამოფენებს, რათა უფრო მეტად შეისწავლონ შემომავალი წინადადებები საქონლის იმპორტ - ექსპორტის ორგანიზების საკითხები, ინვესტიციის, თხოვნებისა და შეთავაზებების გასაანალიზებლად. გუნდური მუშაობა არის დიპლომატიური მისიების ორგანიზებული მუშაობის ერთ-ერთი მთავარი მეთოდი, რადგან ადგილსამყოფელ ქვეყანაში, ძირითადი პოლიტიკური და ეკონომიკური ამოცანების გადასაჭრელად დიპლომატების მუშაობა გუნდური მუშაობის გარეშე წარმოუდგენელია, ამისათვის დიპლომატები იყენებენ ექსპერტებს, სხავდასხვა დარგის სპეციალისტებსა და ანალიტიკოსებს, რათა მოახდინონ ადგილსამყოფელი ქვეყნის პოლიტიკური და სოციალური ცხოვრების გაანალიზება.

ამჟამად, მსოფლიოს ყველა ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტროები იყენებენ ვაჭრობის და ეკონომიკის საგარეო საქმიანობასთან დაკავშირებულ რამდენიმე სამუშაო მოდელს. საკმაოდ ფართოდაა გამოყენებული ე.წ გაერთიანებული მოდელი, რომელიც წარმოადგენს ორმხრივ სავაჭრო და ეკონომიკურ ურთიერთობათა რთულ კომპლექსს და ხორციელდება საგარეო საქმეთა სამინისტროს ეგიდით. ამ შემთხვევაში საგარეო საქმეთა სამინისტრო საერთაშორისო დონეზე არის ქვეყნის ეკონომიკური ინტერესების მთავარი კოორდინატორი, იგი განსაზღვრავს სტრატეგიასა და პრეორიტეტებს ადგილსამყოფელი ქვეყნის ყველა სამთავრობო ორგანიზაციასთან და აღმასრულებელ ხელისუფლებასთან. მეორე, ცნობილი მოდელია ნაწილობრივ ინტეგრირებული მოდელი, რომლის მიხედვით საგარეო საქმეთა სამინისტრო და ეკონომიკის სამინისტრო ერთობლივად აწყობენ ვაჭრობისა და ეკონომიკური ურთიერთობების განვითარების აქტივობას, ამ შემთხვევაში სავაჭრო - ეკონომიკური მისია ცალკეა გამოყოფილი, როგორც დიპლომატიური მისიის ცალკე განყოფილება და იმყოფება საგარეო საქმეთა სამინისტროსა და ეკომომიკის სამინისტროების ორმაგ დაქვემდებარებაში, სავაჭრო ეკონომიკური მისიის ხელმძღვანელი ექვემდებარება დიპლომატიური მისიის მეთაურს, რომელიც მის მუშაობას აკონტროლებს, ხოლო სავაჭრო - ეკომომიკური მისიის პრეორიტეტებს განსაზღვრავს ეკონომიკის სამინისტრო.

გარდა დიპლომატიური მისიებისა, ნებისმიერი ქვეყნის შიგნით მთავრობა პასუხისმგებელია, ეროვნული პოლიტიკური, ეკონომიკური, სამართლებრივი და სხვა გარემოს სტაბილიზაციაზე, რაც გავლენას ახდენს ადგილობრივ ბიზნესზე. ბიზნესი როდესაც კვეთს საზღვრებს და საერთაშორისო ბიზნესის სახეს იღებს, მასაც სჭირდება გარკვეული სტაბილური გარემო და პროგნოზირება. ამ საჭიროებების უზრუნველსაყოფად აუცილებელია სახელმწიფოთაშორისო თანამშრომლობისა და შეთანხმებების საფუძველზე მრავალფეროვანი საერთაშორისო პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო ინსტიტუტების ჩამოყალიბება. ნებისმიერი და განსაკუთრებით მსოფლიო ეკონომიკაში გაერთიანების გზაზე მდგარი ქვეყნებისათვის საერთაშორისო ინსტიტუტების შესახებ ცოდნა აუცილებელია რამდენიმე მიზეზის გამო: პირველი, ისინი მოწოდებულნი არიან იზრუნონ ერებს შორის მშვიდობისა და სტაბილური ურთიერთობების უზრუნველყოფაზე, რაც მთავარი პირობაა საერთაშორისო ბიზნესის განვითარებისთვის; მეორე, ისინი ფლობენ ღირებულ კომერციულ ინფორმაციას ბაზრის პირობების, რესურსების, ქვეყნებს შორის ვაჭრობის შესახებ; მესამე, მათ შეიძლება შეასრულონ მარეგულირებელი ფუნქციები.

გლობალიზაციის პირობებში, საერთაშორისო ვაჭრობაში მსოფლიოს ყველა ქვეყანა, მათ შორის საქართველოცაა ჩართული. საერთაშორისო ვაჭრობაში ჩართულობა აუცილებელია, ვინაიდან ვერც ერთი ქვეყანა ვერ შეძლებს იყოს თვითკმარი იმდენად, რომ მხოლოდ თავისი წარმოების პროდუქციით უზრუნველყოს საკუთარი მოსახლეობა. შრომის საერთაშორისო დანაწილების პირობებში ქვეყანას ყოველთვის სჭირდება რესურსების, სამომხმარებლო პროდუქტებისა და მომსახურების იმპორტირება, ხოლო საიმპორტო ხარჯების დაფარვის ძირითადი წყაროა ექსპორტიდან მიღებული შემოსავალი.

უკანასკნელი პერიოდში საქართველოში განსაკუთრებით მწვავედ დგას მთელი რიგი ეკონომიკური პრობლემები, რაც ქვეყანაში მძიმე სოციალურ ფონს ქმნის. ესენია: ფასების ზრდა, ლარის კურსის ვარდნა და ა.შ. ამ და სხვა პრობლემების მოგვარების გზების საძიებლად საჭიროა, გავაანალიზოთ, რა ახდენდა გავლენას საქართველოში ლარის კურსის მოცულობაზე. რა თქმა უნდა, ლარზე პირველ რიგში გავლენას ახდენს ექსპორტ-იმპორტის ბალანსი (რაც უფრო მატულობს ექსპორტი, მით უფრო მეტი ვალუტა შემოდის ქვეყანაში) და, პირიქით, რაც უფრო მეტია იმპორტი - ქვეყანაში ნაკლები ვალუტა რჩება.

ბოლო წლების განმავლობაში საქართველოს ექსპორტ-იმპორტის სხვაობა ანუ სავაჭრო დეფიციტი საგრძნობლად გაიზარდა, რაც უარყოფითად აისახა ლარის კურსზე და ზოგადად ქვეყნის ყოველდღიურობაზე.

როგორც მოცემული ცხრილიდან ჩანს, საქართველოს სავაჭრო ბრუნვა 2012 წელთან შედარებით 2013 და 2015 წლებში შემცირებულია 6%-ით, ხოლო 2016 წელს ზრდა თითქმის

საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვის დინამიკა 2012/9-2019/9 წლებში(მლნ.$)

წლები	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019/9
ბრუნვა	**10 433**	**10 933**	**11 463**	**9 505**	**9 408**	**0 675**	**12 476.3**	**9 193.7**
ზრდის ტემპი (%)	13%	5%	5%	-17%	-1%	14%	17%	0.5%
ექსპორტი	**2 377**	**2 910**	**2 861**	**2 205**	**2 113**	**2 736**	**3 354.9**	**2 719.2**
ზრდის ტემპი (%)	9%	22%	-2%	-23%	-4%	29%	22.9%	11.1%
წილი ბრუნვაში	22.8%	26.6%	25%	23.2%	22.5%	25.6%	26%	29.6%
იმპორტი	**8 056**	**8 023**	**8 602**	**7 300**	**7 295**	**7 939**	**9 121.4**	**6 474.5**
ზრდის ტემპი (%)	14%	-0.2%	7%	-15%	-0.1%	8.8%	15%	-3.3%
წილი ბრუნვაში	77.2%	73.4%	75%	76.8%	77.5%	74.4%	73%	70%
სალდო	**-5 679**	**-5 113**	**-5 741**	**-5 095**	**-5 182**	**5 204**	**-5 766.4**	**-3 755.3**

ნულს უტოლდება. 2017 წლიდან მკვეთრად იმატებს და 17% შეადგენს, მაგრამ, 2019 წელს ეს მონაცემი ისევ ეცემა 0.5% -მდე. რაც შეეხება ექსპორტის მონაცემებს ის შემდეგნაირად გამოიყურება: 2012 წელს ის 9% შედგენს, 2013 წელს მონაცემი იზრდება 13% -ით და შეადგენს 22%, ხოლო 2014 წელს ეცემა -2% -მდე. 2015 წელს იმატებს, ხოლო 2016 წელს ისევ ეცემა და შეადგენს -4%, 2017 წელს იმატებს მკვეთრად და უტოლდება 29%, 2018 წელს ჩამოდის 22.9%-მდე. ეს მონაცემი 2019 წელს მცირდება 11.1%-მდე. იმპორტის მონაცემები ისეთივე მკვეთრი დისბალანსით გამოირჩევა, როგორც ზემოთ მოყვანილი დანარჩენი მონაცემები. 2012 წელს ზრდამ შეადგინა 14%, 2013 წელს მკვეთრად დაეცა და გაუტოლდა -0.2%, 2014 წელს იზრდება 7%-მდე, 2015 წელს -15%, 2016 წელს ეცემა -0.1%-მდე , 2017 წელს იწყებს მატებას და 2018 წელს შეადგინა 15%, მაგრამ 2019 წელს ეცემა -3.3%-მდე.

ქვეყანაში სტაბილური ეკონომიკური მდგომარეობისათვის ვაჭრობის განვითარება და საქონელბრუნვის ზრდა საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკის რეალიზაციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ქვეყნის სავალუტო შემოსავლების შევსება, ხელი შეუწყოს ადგილობრივი წარმოების გაფართოებას და შესაბ ამისად მოსახლეობის დასაქმების ზრდას. აგრეთვე, მოახდინოს აუცილებელ იმპორტზე შიდა ბაზრის მოთხოვნილების დაკმაყოფილება, ჯანსაღი კონკურენტული გარემოს ფორმირება და ეკონომიკის სტრუქტურული სრულყოფა, დააჩქაროს მსოფლიო ეკონომიკურ სისტემაში ქვეყნის სრულფასოვანი ინტეგრირების პროცესი. საჭიროა, საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის ამოცანად იქცეს ექსპორტის ისეთი ზრდა, რომელიც უზრუნველყოფს მის მიახლოებას იმპორტთან. საექსპორტო პოტენციალის ეფექტური გამოყენების სტიმულირების აუცილებელი პირობაა, არსებული ბუნებრივი, მატერიალური და შრომითი რესურსების რაციონალური და გეგმაზომიერი გამოყენება, პროდუქციის ხარისხის ამაღლება, თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა, ახალი სავაჭრო კავშირების დამყარება, ასევე მნიშვნელოვანია საერთაშორისო ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობა. საიმპორტო საქმიანობაში უნდა გამოიკვეთოს პრეორიტეტული მიმართულებები და მათთვის შეიქმნას ხელშემწყობი პირობები.

ყოველივე ზემოაღნიშნული პირობის შესრულება აუცილებელია, რადგან დღეს საქართველოს გააჩნია უარყოფითი საგარეო სავაჭრო სალდო, რაც ზემოთ მოყვანილი მონაცემბიდანაც ჩანს.

როგორც უკვე ვთქვით, საქართველოში ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების თვალსაზრისით ჯერ კიდევ მრავალი ეტაპია გასავლელი, მაგრამ, შეუძლებელია არ აღინიშნოს ეკონომიკური დიპლომატიის ინსტიტუციური და ორგანიზაციული ბაზების გაძლიერებისა და სტატუსის გაზრდის პროცესის შეუჩერებელი მიმდინარეობა სახელმწიფო ხელისუფლების სისტემაში, შესაბამისად გაუმჯობესება და გაფართოება ქვეყნის სავაჭრო და ეკონომიკური მისიების მუშაობის ხარისხში.

დღესდღეობით საგარეო საქმეთა სამინისტორს, ზოგადად დიპლომატიური მისიის მთავარი ამოცანაა საკუთარი ქვეყნისთვის პოზიტიური იმიჯის შექმნა. დიპლომატიური მისიის

მეთაური ეყრდნობა საკუთარ გამოცდილებას და იყენებს ინოვაციურ დიპლომატიურ მექანიზმებს სიტუაციურ საჭიროებებთან დამოკიდებულებებში. მაგრამ, თანამედროვე პირობებში საბაზრო ურთიერთობები ყოველდღიურად სრულიად ახალ მოთხოვნებს წარმოშობს. ახალ მოთხოვნებს კი ახლებური, დროის შესაბამისი ხედვა და მართვა სჭირდება. თანდათანობით იხვეწება სამართლებრივი ბაზა; ტარდება ეკონომიკური რეფორმები; მუშავდება მიზნობრივი პროგრამები, მოდელები, კონცეფციები; ქვეყანა ერთიანდება საერთაშორისო ორგანიზაციებში; ჩნდება იმედის მომცემი მაჩვენებლები, ტენდენციები და სხვა. მიუხედავად ამისა, აღნიშნულ პროცესს ესაჭიროება მეცნიერული კვლევა და დასაბუთება ჩვენი ქვეყნის გლობალური ეკონომიკის პირობებში, კუთვნილი ადგილის დასაკავებლად, რისთვისაც საჭიროა ეკონომიკური დიპლომატიის გაძლიერება ადამიანური რესურსებით.

ქართველი ექსპორტიორების ხელის შეწყობის მიზნით საქართველოს საელჩოებში მიზანშეწონილად მიგვაჩნია ეკონომიკურ მიმართულებაზე პასუხისმგებელი სპეციალისტების დანიშვნა. საელჩოებში დანიშნულმა სპეციალისტებმა ხელი უნდა შეუწყონ მცირე და საშუალო ბიზნესის ინტერნაციონალიზაციას, ასევე, მათ უნდა განახორციელონ ქართული საექსპორტო პროდუქციისთვის ახალი ბაზრების მოძიება და არსებულ ბაზრებზე მისი გაძლიერება, საქართველოში არსებული ეკონომიკური გარემოს შესახებ ინფორმაცია უნდა მიაწოდოს უცხოელ ბიზნესმენებს.

ამ პროექტის ფარგლებში ქართული ბიზნესის წარმომადგენლებს შეეძლებათ დაკავშირება უცხოელ პოტენციურ პარტნიორებთან, აგრეთვე ხელს შეუწყობს ქართული პროდუქციის მონაწილეობას უცხოურ გამოფენებსა და ბაზრობებში.

ამრიგად, თანამედროვე პირობებში, ქვეყნებს შორის ეკონომიკური კავშირ-ურთიერთო-ბების განვითარება, მისი მასშტაბები და ეფექტიანობა პირდაპირ არის დამოკიდებული, ეკონომიკური დიპლომატიის სწორად ჩემოყალიბებასა და გამოყენებაზე, რომლის გარანტია მათში არსებულ ეკონომიკური და პოლიტიკური სტაბილურობა, მათი დიპლომატიური მისიების კომპეტენცია და ძალისხმევა საგარეო ვაჭრობის განვითარების, ინვესტიციების მოზიდვისა და ქვეყნისა და რეგიონების ეკონომიკურ ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინების უზრუნველყოფა საერთაშორისო ურთიერთობებში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. https://laws.studio/mejdunarodnyie-otnosheniya-knigi/staraya-novaya-diplomatiya-52548.html
2. თ.ქოქოლაძე“ თანამედროვე ქართული დიპლომატია, ქ. თბილისი, 2019, გვ. 15-25
3. ა. ჩაჩხიანი „საქართველოს საგარეო სავაჭრო პოტენციალის ზეგავლენა ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაზე“, ქ.თბილისი , 2019, გვ.8-30
4. https://laws.studio/rf-geopolitika/tema-vvedenie-proishojdenie-21312.html
5. http://regional-dialogue.com/economic-relations/
6. https://bag.ge/file.helix?i=499677ad-dbe6-49cf-ac6d-a08f1703f61c&r=P
7. გაეროს (ვენის) 1980 წლის კონვენცია “ საქონლის საერთაშორისო ყიდვაგაყიდვის ხელშეკრულებეათა შესახებ”
8. https://openscience.ge/bitstream/1/68/1/Zuram%20Kavtaria.pdf
9. https://articlekz.com/article/19224
10. https://studfile.net/preview/8126839/
11. გ. ჯოლია , საერთაშორისო ეკონომიკური უერთიერთობები, ქ. თბილისი ,2015
12. http://www.economy.ge/uploads/files/2017/foreign_trade/trade_turnover_2019_9_month_final.pdf

It is a modern economic diplomacy and its role in the development of the country's foreign economic relations

Grigol Glunchadze
PhD student of GTU

Summary

In the face of modern globalization, the world is becoming increasingly interconnected, not only geographically, but also in different directions. Any connection and relationship is important for countries, but there are vital economic contacts, especially the relationship between economics and politics is crucial in globalization, for the progress of any society.

Economic diplomacy is an important element of international relations. Because of this, the economy has acquired a central role in diplomatic relations, traditional political and economic diplomatic relations are gradually coming together in globalization. In other word, "Economic diplomacy" is increasingly being introduced in the field of classical diplomacy.

Development of trade and increase of commodity turnover, one of the most important conditions for the development of Georgia's economic policy, what should complement the country's foreign exchange earnings, to support the expansion of local production and consequently the employment growth of the population, this should satisfy the needs of the domestic market, create a healthy competitive environment and structural improvement of the economy, also accelerate the process of full integration of the country into the world economic system. Recently, has begun and Increase the status in the state government system the strengthening of the institutional and organizational bases of economic diplomacy in Georgia.

Keywords: diplomacy, foreign economic relations, globalization,international-foreign economic relations , Economic diplomacy.